საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 176 „28" მაისი 2012 წ.

შ.პ.ს. „ტერმინალი"-ზე
ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 პუნქტის და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „უფლებამოსილების მინიჭებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 30 აპრილის N144 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მთავარი მრჩევლის ჯუმბერ მამასახლისის მოხსენებითი ბარათის და შ.პ.ს. „ტერმინალი"-ს დირექტორის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია შ.პ.ს. „ტერმინალი"-ზე შემდეგ საქმიანობაზე: მაიონებელი გამოსხივების გენერატორის სამედიცინო მიზნით გამოყენება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს. „ტერმინალი"-ს.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მარიამ ვალიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე